ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 271 (19712) ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

როცა უგულებელყოფენ დისციპლინისათვის პასუხისმგებლობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფისათვის, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლისათვის პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის მუშაობის არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რაიონში ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა ბოროტმოქმედება, წამატებები, თვალისაზვევა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. მოხდა სახელმწიფო ერნების მრავალი დიდი დატაცება და შეჭრთამეობის ფაქტები, გაუარესდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ბევრ შრომითს კოლექტივში. ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა პარტიის რაიკომის, მისი ბიუროს მიერ პარტიული ხელმძღვანელობის სტილში არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფამ, უუნარობამ ჯეროვნად მოეწყოთ მუშაობა დისციპლინის განმტკიცებისა და დარღვევებთან ბრძოლისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტი ურიგდება უხეშ გადახრებს კადრებთან მუშაობის პარტიული პრინციპებისაგან. მათი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებებით შერჩევის ნაცვლად მკვიდრდებოდა პროტექციონიზმი და ნათლიმამობა, რის შედეგად ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხვდებოდნენ არაკეთილსინდისიერი და უფირსი ადამიანები, რომლებიც შემდეგ „ადგებოდნენ სახელმწიფოს მოტყუებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზას. ასეთ ხელმძღვანელებს უქმნიდნენ პრივილეგიურ მდგომარეობას, თავიდან აცილებდნენ კონტროლს, ჩქმალავდნენ მათ არასწორ მოქმედებას. უფრო მეტიც, ხშირად პარტიის რაიკომის ბიურო, მისი პირველი მდივანი ლ. ლომიძე მფარველობდნენ კადეც საეჭვო რეპუტაციის, საძრახის საქმეებში მხილებულ მუშაკებს. ცალკეულ ხელმძღვანელთა გარშემო შექმნილმა თვნებობისა და შეუმცდარობის ამგვარმა ატმოსფერომ ხელი შეუწყო კადრების ფაქტობრივ გადაგვარებას.

ამას თვალნათლივ ადასტურებს 1986 წლის 20 აგვისტოს გაერთიანება „პირიმზის“ დირექტორის დ. ქვლივიძის ბინაში მომხდარი დანაშაულის ფაქტი. შეებულებაში მისი გაცილებისას კინკლაობისა და შეურაცხყოფის ნიადაგზე ფეხსაცმლის შეკეთების საამქროს ყოფილმა ოსტატმა ზ. ბაკანიძემ სასიკვდილოდ დაჭრა ფოტოხმისჩამწერი სალონის ოპერატორი ა. ჩოდრიშვილი. ეს დანაშაული მთელი რიგი იმ უხეში დარღვევების შედეგი იყო, რომლებიც ახასიათებდა გაერთიანების დირექტორის მუშაობას, პარტიის რაიკომისა და პირადად პირველი მდივნის განსაკუთრებული მფარველობით რომ სარგებლობდა.

უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე გაერთიანების ობიექტებზე პარტიის რაიკომის ინიციატივით არ გამოუვლენიათ არავითარი სერიოზული დარღვევა, მაშინ როცა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და შინაგან საქმეთა საინსპექტორების მიერ მოწყობილი შემოწმებები ავლენდნენ უხეშ შეცდომებსა და ბოროტმოქმედებას, წამატებებსა და დატაცებას, თვალისაზვევას, უსაქონლო ოპერაციებს, შემკვეთთა ანგარიშში მოტყუების ფაქტებს და ა. შ.

(დასასრული მე-2 გვ.).

გზად ინდოეთისაკენ

ინდოეთი გზად მიმავალი მ. ს. გორბაჩოვი ტაშკენტში ჩამოხდა.

აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვსა და მის თანმხლებ ოფიციალურ პირებს დახვდნენ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ბ. უსმანხოჯაევი და სხვა ამხანაგები.

საღამოს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. გაიმართა სახუთვლიანი ს.ჯ.-ბაასი უზბეკეთის პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროს საფუძვლიანი გარდაქმნის პრობლემებზე. გაცხოველებული განხილვის შემდეგ დამსწრეთ ვრცელი სიტყვით მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა.

• • •

ტაშკენტი. 25 ნოემბერი. (საკ-დისი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მიემგზავრება დელში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რ. განდისა და ინდოეთის მთავრობის მიწვევით, ტაშკენტიდან გაფრინდა.

ტაშკენტის აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები ოფიციალური პირნი გააცილეს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ბ. უსმანხოჯაევმა და სხვა ამხანაგებმა.

საბჭოთა ხელმძღვანელი ინდოეთში ჩავიდა

სსრ კავშირი-ინდოეთი: კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა

დელი, 25 ნოემბერი. (საკდისის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი დღეს მეგობრულ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთში რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რ. განდისა და ინდოეთის მთავრობის მოწვევით. ინდოეთის ხელმძღვანელებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა ამ ვიზიტისათვის საქმიანი, მეგობრული ხასიათი მიენიჭებინათ. ეს ვლინდება დღეს ყველაფრით: მრავალრიცხოვანი მიტინგებითა და კრებებით, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა განცხადებებით, პრესის კომენტარებით. გუშინ მთელი ინდოეთი უდიდესი სურადღებით უყურებდა და ისმენდა მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუს ინდოელი ჟურნალისტების ჯგუფისადმი. ჩვენთან საუბრებში საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ამ დღეებში ბევრი რამ ახალი შეიტყვეს არა მარტო საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად ახალი მიდგომა, ახალი აზროვნება თანამედროვეობის საკვანძო პრობლემების გადაჭრაში.

დღეს ინდოეთის ყველა გაზეთში დაიბეჭდა საბჭოთა კავშირისა და ორი ქვეყნის ურთიერთობისადმი მიძღვნილი დიდი მასალები. ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ წერს: „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უშუალო გავლენას ახდენს მსოფლიოში ყველა ძირითად გლობალურ პრობლემაზე. უდიდესი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, აგრეთვე მეუმხრობლობის მოძრაობის ფუძემდებლისა და ერთ-ერთი ლიდერის — ინდოეთის პოლიტიკას და მოქმედებას „უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს კაცობრობისათვის. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის კავშირურთიერთობა სრულად საფუძვლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ნიმუშად ყველა ახლახან განთავისუფლებული სახელმწიფოსათვის, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი, ბრძოლა გამოუცხადეს ეკონომიკურ და სოციალურ ჩამორჩენილობას“.

დელის დროით 12 საათი. პალამის აეროდრომი. საბჭოთა ავიალინერი საზეიმო ცერემონიის ადგილს უახლოვდება. ნიავი აფრიალებს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებს. ალისფერ ტრანსპარანტებზე ჰინდი და რუსულ ენებზე წერია ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საიდიდებელი სიტყვები. საფრენ მოედანზე ჩამწკრივებულია სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითთა, მფრინავთა, მეზღვაურთა — საპატიო ყარაული.

თვითმფრინავის კიბესთან მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს გულითადად ეგებება ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი მეუღლითურთ.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ს. ჩერნიაევი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ი. მ. ვორონცოვი.

საფრენ მოედანზე გაისმის საარტილერიო სალუტის — 21 ზალპის ექო.

ძველი ინდური ჩვეულებისამებრ საბჭოთა ხელმძღვანელს მიართვეს ყვავილების გირლანდა. ბავშვთა ხელით მირთმეული თაიგულები გულითადი და კეთილი მასპინძლობის ნიშანია. და, აშკარად დაარღვია რა ოქმი, ლამის წამების მიხედვით რომ შეადგინეს დიპლომატებმა, მიხეილ სერგეს ძე ინდოელ გოგონებთან გაჩერდა. ერთ-ერთი მათგანი რუსულად ეუბნება: „მოხარული ვართ ვულითადად მოგესალმოთ, მიხეილ სერგეს ძე! ძალზე სასიამოვნოა, რომ დელში ჩამობრძანდით“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ესალმება მინისტრებს: საგარეო საქმეთა მინისტრს — ნ. დ. ტივარის, შინაგან საქმეთა მინისტრს — ბუტა სინგჰს, ადამიანთა რესურსების მინისტრს — პ. ვ. ნარასიმჰა რაოს, ფოლადისა და შახტების მინისტრს — კ. ჩ. პანტს, მთავრობის სხვა წევრებს.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მ. ს. გორბაჩოვმა ჩაუარა საპატიო ყარაულის მწყობრს. საპატიო ყარაულის უფროსი პატაჟს აბარებს მას.

მიესალმა რა საბჭოთა ხელმძღვანელს **რ. განდიმ** თქვა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვ!

ქალბატონო რაისა გორბაჩოვა! ჩვენო საბჭოთა მეგობრებო!

მოგესალმებით ინდოელი ხალხის სახელით. თქვენ წარმოადგენთ ქვეყანასა და ხალხს, რომლებიც მხარში გვედგნენ გაჭირვების დროსაც. და გამარჯვების დროსაც. საბჭოთა კავშირი ნაცადი და ერთგული მეგობარი რჩებოდა ჩვენთვის ძნელებდობის ჟამს. მოგესალმებით თქვენ აგრეთვე როგორც მეგობრებს, რომლებიც დაგვეხმარნენ თანამედროვე ინდოეთის აშენებაში. მოგესალმებით თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, როგორც მშვიდობისათვის ბრძოლის. მეცნიერების სასწაულებმა და ტექნოლოგიის შესანიშნავმა მიღწევებმა გაიერთიანა, როგორც ანასოდეს ისტორიაში, ადამიანთა ოჯახის ბედ-იღბალი. სამი ათწლეულის მანძილზე ინდოეთმა და საბჭოთა კავშირმა მსოფლიოს უჩვენეს, თუ რა გულითადი ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მეზობელ ქვეყნებს შორის, როგორი განსხვავებაც უნდა იყოს მათს ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებში. ჩვენი მეგობრობა თანაარსებობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მსოფლიო წყობის დამყარების ისტორიული საჭიროების დადასტურებაა.

ინდოეთში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, გარდაქმნა ხორციელდება მემკვიდრეობითობის დაურღვევლად. ორივე ჩვენს ქვეყანაში ეროვნული განვითარების პრინციპები და ღირებულებანი მტკიცედ დამკვიდრდა. ამიტომ გულდაჯერებითა და რწმენით შეუძლია ორივე სახელმწიფოს ახალი მიმართულება და ახალი მასშტაბი მიანიჭოს თავის პოლიტიკას. სახელმწიფო მშენებლობა უწყვეტი პროცესია. საჭიროა წარსული პერსპექტივები შეეგუოთ დღევანდელობის რეალობებს. სიახლენი, წარმოსახვისა და სწრაფი გარდაქმნის უნარი ცვალებადს ვითარებაში დინამიური საზოგადოებისათვის საარსებო საჭიროებაა.

ამ საუკუნეში ომის მძიმე გამოცდილებამ გამოაწრთო საბჭოთა კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლაში. ინდოელთა შეშფოთებლობის, ჰარმონიისა და არადალმობრეობის მემკვიდრეობამ მშვიდობის პაონერთა როლი გვაკისრა. თქვენ პატივისცემით ეკიდებით ჩვენს მიუმხრობლობის პოლიტიკას, ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს მტკიცე ერთგულებას მშვიდობისადმი. ჩვენ ვიზიარებთ ბირთვული განიარაღების მტკიცე რწმენას, როგორც მყარი და გარანტირებული მშვიდობის საარსებო საჭიროებას. ოცდაათი წლის მანძილზე ერთად ვმუშაობთ მსოფლიოში ჰარმონიისა და ჩვენი ხალხების კეთილდღეობისათვის. მოხარული ვართ, რომ ჩამობრძანდით ჩვენთან, ვიმედოვნებთ, რომ ეს ხანმოკლე შეხვედრა დელთან აღგიძრავთ სურვილს უფრო ხშირად ჩამოხვიდეთ ჩვენთან და ეწვიოთ ინდოეთის ბევრ რაიონს.

გაუმარჯოს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

გაუმარჯოს ინდოეთს!

საპასუხო სიტყვაში **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა:

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო რაჯივ განდი!

პატივცემულო ქალბატონო განდი!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო!

ინდოეთის მიწა-წყალზე წარმოთქმული ჩემი პირველი სიტყვები სამადლობელი სიტყვებია ბატონ რაჯივ განდისადმი მოწვევისათვის, ყველა თქვენგანისადმი კი გულთბილი შეხვედრისა და კეთილი სურვილებისათვის.

ინდოეთთან შეხვედრის მომენტში მინდა დიდ ინდოელ ხალხს მეგობრულად მივესალმო საბჭოთა კავშირის ხალხების სახელით. ჩემი ვიზიტი მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ უცვლელია თქვენს ქვეყანასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ჩვენი პრინციპული კურსი. ინდოეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობას უკვე აქვს თავისი საკმაო ისტორია, თავისი მტკიცე ტრადიციები. იგი ამდიდრებს და ემსახურება ორივე ხალხის ინტერესებს.

ვითარდება რა ალმავალი ხაზით, ეს ურთიერთობა ყველა ეტაპზე იყო საერთაშორისო სტაბილურობისა და მშვიდობის ფაქტორი. ასე იყო წარსულში. ასეა დღესაც.

კეთილმყოფელი ენერგია, რომელსაც საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამოქმედება შეიცავს, გამომდინარეობს იქიდან, რომ მას საფუძვლად უდევს ნდობა, თანასწორუფლებიანობა, პატივისცემა, ყურადღებიანი დამოკიდებულება თითოეულის თავისებურებებისადმი და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება.

აგრეთვე — და ესეც ძალზე მნიშვნელოვანია — იმას, რომ იგი არ უპირისპირდება სხვა ქვეყნების რეალურ, კანონიერ ინტერესებს, და არ არის მათ წინააღმდეგ მიმართული.

თანამედროვე ეტაპზე, როცა საბჭოთა კავშირიც და ინდოეთიც თავიანთი წინაგანი განვითარების დიდ, ისტორიული მნიშვნელობის ამოცანებს წყვეტენ, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა და კონტაქტები კიდევ უფრო მეტ დინამიზმს საჭიროებს.

მაგრამ ამასვე საჭიროებს მსოფლიო პოლიტიკაც ახლანდელ რთულ და საშიშ საერთაშორისო სიტუაციაში.

უდიდესი პრობლემები დგას ახლა კაცობრიობის წინაშე, დიდია საშიშროება, რომლის წინაშეც იგი აღმოჩნდა: ბირთვული საფრთხე და გადარჩენის პრობლემა, განვითარებადი ქვეყნების სიძნელეები და გასაჭირი, დასავლეთ-აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ-სამხრეთი — ანუ სხვადასხვა ტიპის სოციალურ-პოლიტიკური სისტემებისა და მათი განვითარების ნონეების წინააღმდეგობრიობა, რეგიონალური და ერთაშორისი კრიზისები და კონფლიქტები, სურსათის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის პრობლემები.

ვფიქრობ, თანამედროვე მსოფლიოს ყველა ამ სირთულეს შევეხებით მეტნაკლებად ჩვენი საუბრებისა და მოლაპარაკების დროს.

და, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იქნება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხები ყველა ასპექტით და აზიის, ინდოეთის, წყნარი ოკეანეების აქტუალური პრობლემები— ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლის კონტექსტით.

ბატონ რაჯივ განდის ჩვენ უკვე ვუმასპინძლეთ ჩვენთან, საბჭოთა კავშირში. ეს ჩემი ვიზიტი სასპასუხოა. მე ძალზე ვაფასებ დიალოგს, რომელიც მიმდინარეობს ჩვენ შორის პრაქტიკულად რეგულარულად, თუმც კი ერთმანეთს არც ისე ხშირად ვხვდებით.

ეს დიალოგი საშუალებას გვაძლევს მუდამ ვაცნობდეთ ერთმანეთს ჩვენი საერთაშორისო საქმიანობისა და ორმხრივი ურთიერთობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებს.

ეჭვი არ მეპარება, რომ დიალოგის განგრძობა აქ დელში კიდევ უფრო დინამიკურს გახდის საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მრავალფეროვან კავშირურთიერთობას და კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ორი დიდი სახელმწიფოს თანამოქმედების, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ფაქტორის, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების ფაქტორის როლს.

ერთხელ კიდევ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ყველა ჩემთან ერთად ჩამოსულის სახელით.

გმადლობთ საზეიმო შეხვედრისათვის, ყვავილებისათვის, რომლებიც ჩვენ უფრო მეტ რამედ მიგვაჩნია, ვიდრე ძველი ტრადიციის უბრალო გამოხატულებად.

• • •

შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელს წარუდგენენ ინდოეთის მთავრობის წევრებს, პარლამენტის დეპუტატებს. იგი ესალმება პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ინდოეთში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს.

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.
საკდისის სპეც. კორესპონდენტების ი. ლიზუნოვისა და ა. ჩუმიჩევის ტელეფოტო. (საკდისის ფოტოქრონიკა).

უმაღლესი სასწავლებელი: დროის ფეხდაფეხ, გარდაქმნის ფეხდაფეხ

თითქმის 90 ათასი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მისცა ქვეყანას 64 წლის მანძილზე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა. მის კურსდამთავრებულებს დღეს შეხვდებით ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად ყველა კუთხეში, რომ აღარაფერი ვთქვათ რესპუბლიკაზე, ისინი შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და თავიანთი წვლილი შეაქვთ სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

სპეციალისტების, კერძოდ, ინჟინრების მომზადებაში უმაღლესი სკოლის ამოცანებზე იყო ლაპარაკი, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ეწვია საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

საუბრებმა ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებთან, თანამშრომლებთან და სტუდენტებთან, სადაც დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 30 ათასზე მეტი ქალაქელი და ჭაბუკი სწავლობს, შესაძლებელი გახადა უფრო მკაფიოდ განსაზღვრულიყო „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა“ შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხორციელების ამოცანები.

კერძოდ, უმაღლეს სასწავლებელში უკანასკნელი წლების მანძილზე დაიწყო სპეციალისტთა მომზადება რამდენიმე ახალი, სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო სპეციალობებით — ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკისა და რადიოაპარატურის კონსტრუირება და წარმოება, რობოტიზებული წარმოების ტექნოლოგია, რადიოელექტრონული აპარატურის მომსახურება და რემონტი, საშუალოელო აპარატურის ტექნოლოგია, სამედიცინო ელექტრონული აპარატურა, მანქანათმშენებლობის ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია, ბიოტექნოლოგია. ათობით, ასობით სტუდენტი მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო-საწარმოო ერულებო სამუშაოთა შესრულებაში, დასაქმებულია საკონსტრუქტორო ბიუროებში. მათი პროექტებით აშენდა და შენდება შენობები და ნაგებობები რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში.

უმაღლეს სასწავლებელს სხვა ბევრი კეთილი საქმეც აქვს. ეს არის გამარჯვებები სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო კონკურსებში, ზაფხულის შრომითი სემესტრების წარმატებით მოწყობაც.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ უმაღლესი სასწავლებელი აქტიურად და საქმიანად გარდაიქმნება დროის მოთხოვნათა შესაბამისად. მომდინარე ხუთწლედმა, საგანგებოდ აღინიშნა საუბრების დროს, კერძოდ, მისმა პირველმა ორმა წელმა, მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროს 2000 წლამდე და უფრო შორეული პერსპექტივისათვის მთელი ჩვენი მუშაობის დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიის რეალიზაციას. რესპუბლიკაში მომდინარეობს ღონმა ცვლილებათა შეუქცევადი პროცესი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ამ პროცესში კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ როგორც პოლიტექნიკური, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს, რომლებსაც მომავალ საუკუნეში მოიწევთ მუშაობა. და იმაზე, როგორ ზრდიან დღეს მათ უმაღლესი სასწავლებლები, რა ცოდნას აძლევენ მათ, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი. ამიტომ ყოველნაირად უნდა ვგულისხმობდეთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი, განვამტკიცოთ და განვავითაროთ უმაღლესი სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამასთან დაკავშირებით შეეხნენ მთელ რიგ პრობლემებს, რომელთა გადაუდებელი გადაჭრა დღის საარსებო მოთხოვნაა. მაგალითად, პარტიული ორგანიზაციის წინაშე დგას ამოცანა გარდაქმნას მუშაობა იმის გათვალისწინებით, რომ მისი შემადგენლობის თითქმის მესამედს სტუდენტები შეადგენდნენ. მაშასადამე, პარტორგანიზაციამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ახალგაზრდობის პრობლემებს. აქ არ არის და არც შეიძლება იყოს წვრილმანები. ავიღოთ, თუნდაც, ახალგაზრდული კომპლექსების მშენებლობა, რომელიც ფართოდ გავრცელდა ქვეყნის მრავალ რეგიონში. ჩვენში ეს საქმე რატომღაც ნელა მიმდინარეობს. უკანასკნელ წლებში განხდა სტუდენტთა ბავშვებისათვის საბავშვო ბაღების პრობლემაც და ა. შ. ყველა წამოჭრილი პრობლემა უფრო ოპერატიულად, საქმის ცოდნით, დაინტერესებით, არასტანდარტულად უნდა გადავჭრათ.

აღიძრა ინსტიტუტის ობიექტების — ახალი კორპუსების, სპორტული კომპლექსის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის, სასადილოს მშენებლობის საკითხები. ზოგიერთი მათგანი მაღე დამთავრდება. მაგალითად, ახალ კორპუსში, სადაც მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს, უკვე გათვალისწინებულია მოეწყოს ახალგაზრდობის საახალწლო მეჯლისი. საჭიროა, რომ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები თავად აქტიურად მონაწილეობდნენ სამშენებლო სამუშაოებში — ახალ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში ხომ ისინი და მათი შვილები იმეცადინებენ. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ინსტიტუტის დიდ საკქმეთა დარბაზში მოეწყო შეხვედრა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა შემადგენლობის აქტივთან. შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა, დოცენტმა ლ. ი. ოქრუაშვილმა. შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ნ. ლოლაძე, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნ. ნ. ლომინაძე, სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. ვ. ქორთუა, მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მ. შ. მინდელი, ელექტრონული მიკროსკოპის რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი ე. რ. ბუთელია, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. გუდავაძე, სტუდენტები ჯ. კვირიკაშვილი და მ. ყიფიანი.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ჯ. ი. პატიაშვილი. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის ამოცანებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით. და აქ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ უმაღლესმა სკოლამ, კერძოდ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და სტუდენტებმა. კურსდამთავრებული არა მარტო თავისი საქმის სპეციალისტი, არამედ ყოველმხრივ განათლებული ადამიანი უნდა იყოს, რომელსაც აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ფართო გონებრივი ჰორიზონტი, მტკიცე მრწამსი ექნება. ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც დაიჭერებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ნიადაგ ეძებს წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრის ახალ გზებს — აი უმაღლესმა სასწავლებლის ძირითადი ამოცანა. მხოლოდ ამ ამოცანის გადაწყვეტით შეძლებენ ისინი შეასრულონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. (საბჭოფრმი).

ვიზიტი გრძელდება

24 ნოემბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოსა და ბენინის სახალხო რევოლუციის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ბენინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურის მ. კერეკუს მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია სოციალური განვითარების მთავარი ამოცანების შესახებ, რომლებიც წყდება სსრ კავშირსა და ბენინის სახალხო რესპუბლიკაში.

მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან განაგრძონ თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ინტერესებისათვის. განიხილეს საბჭოთა კავშირ-ბენინის ეკონომიკური,სამეცნიერო-ტექნიკური და სავაჭრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლში სადილი გაუმართეს მ. კერეკუს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, პ. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და მ. კერეკუმ სტადღეგრძელეს, რომლებიც დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

იმავე დღეს მ. კერეკუმ გვირგვინით შეიმკო ვ. ი. ლენინის მაგზოლეუმი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვეთით იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. რენოიცის მეთაურობით საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა 1986 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში.

როცა უგულებელყოფენ დისციპლინისათვის პასუხისმგებლობას

(დასასრული)

ამ შემოწმებათა მასალებით პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, ეწინააღმდეგებოდა რა დადგენილებათა წარმოდგენილ პროექტებს, ყოველნაირად ცდილობდა გაერთიანების დირექტორისათვის თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა, რის შედეგადაც იღებდნენ გაუმართლებელ ლობერალურ გადაწყვეტილებებს. რაიკომში მხარდაჭერას ვერ პოულობდა სახალხო კონტროლის რაონული კომიტეტის ცდებიც გარკვეულიყო „პირიმზეში“ შექმნილ ვითარებაში. უყურადღებოდ დარჩა აგრეთვე რაიონული ორგანოებში შესული წერილები და განცხადებანი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ეხებოდა ქვლევიძისა და ჩოდრიშვილის საეჭვო ურთიერთობას, რაც ამჟამად გამოძიებით დადასტურდა. უფრო მეტიც, როცა 1983 წელს ქვლევიძემ ჩაიდინა ქმედება, რომელიც სისხლის სამართლით ისჯება, რაიკომის პირველმა მდივანმა ყველფერი იღონა, რათა იგი დაეტოვებინა არა მარტო პარტიაში, არამედ თანამდებობაზეც.

სახელგატეხილი პირებისადმი პარტიის რაიკომის მფარველობის პრაქტიკა ჩანს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა მიმართაც. ერთეული როდია ფაქტები, როცა პარტიულ პასუხისმგებლობას არიდებდნენ კომუნისტ-ხელმძღვანელებს, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის წესით დასასჯელი დანაშაული. მაგალითად, რაიკომის ბიუროზე ტყავის გაერთიანების დირექტორის ვ. მამარდაშვილის პერსონალური საკითხის განხილვის დროს, რომელსაც წამებებისა და თვალისაზვევისათვის მსჯავრი დაედო, დასჯერდნენ მხოლოდ იმას, რომ გამოუცხადეს სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით.

საერთოდ არ განუხილავთ ფაბრიკა „ამირანის“ყოფილი დირექტორის რ. ახიჯანოვას პერსონალური საკითხი, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდა მხოლოდ ამნისტიით: იგი სხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე გადაიყვანეს. პირველდს პარტიულ ორგანიზაციაში მისი საქმის განხილვის შესახებ პარტიის რაიკომის დარგობრივი განყოფილების მოთხოვნა აღკვეთა პირადად პირველმა მდივანმა.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები აღმოაჩინეს თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანში“. ბოროტმოქმედების ხელშემწყობი სერიოზული გადაბრები იყო აქ იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზაციაშიც, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდებათ. მაგრამ პარტიის რაიკომსა და რაიაღმასკომს ამაზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ. მასალები გადაუგზავნეს რაიონის პროკურატურას მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ, რამაც ხელი შეუწყო ახალ ბოროტმოქმედებას. ბინების განაწილების დროს მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ქარხნის რამდენიმე მუშაკი, მათ შორის პარტკომის ყოფილი მდივანი გ. პატარაია.

პარტიის რაიკომის, მისი ბიუროს მუშაობის მცდარი სტილი განაპირობა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ნორმების დარღვევებმა, იმან, რომ არ იყო საჯაროობა. შესუსტდა კავშირი პარტიულ აქტივთან, უგულებელყოფდნენ მის აზრს. მნიშვნელოვან საკადრო საკითხებზე მიღებულ დადგენილებებს ხშირად პარტიის რაიკომის ბიუროს წევრებსაც კი დროულად არ აცნობდნენ; ხელმძღვანელთა კანდიდატურებს მხოლოდ ვიწრო წრეში განიხილავდნენ.

სერიოზული დარღვევებია კადრების შერჩევაში პარტიის რაიკომის, რაიაღმასკომის, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტების აპარატში. პროტექციით, პირადი ნაცნობობისა და ერთგულების, თვისტომობის პრინციპით მუშაკთა შერჩევის ბევრი ფაქტია. ამასთან სრულიად არ ითვალისწინებდნენ რაიონის სპეციფიკას, სადაც თავმოყრილია მსუბუქი მრეწველობის ბევრი საწარმო და ორგანიზაცია: რაიკომის 17 პასუხისმგებელ მუშაკს შორის არც ერთს არა აქვს შესაბამისი განათლება ამ დარგში და მუშაობის გამოცდილება. მთლიანად რაიონში შეინიშნება ქალაქისა და თვით რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ხელმძღვანელ თანამდებობებზე კადრების გაუმართლებელი გადაყვანის ტენდენცია, ამავე დროს ადგილობრივი კადრების ზრდას ხელოვნურად აფერხებდნენ.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ინიციატივით 1979 წელს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის პასუხისმგებელ მდივნად დაამტკიცეს სხვა რაიონში მომუშავე პ. გელაშვილი, რომელსაც ეკრძალებოდა არავითარი დამსახურება, მუშაობის არავითარი გამოცდილება და არ ირიცხებოდა რეზერვში. იგი ფორმალურად გაიფარეს ე. პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანაში და ერთი წლის შემდეგ დაამტკიცეს პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად და კურირებას უწევდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს პირველადს პარტორგანიზაციებს. ასაღებდა რა თავს რაიკომის პირველი მდივნის ნათესავად, გელაშვილი საეჭვო ქმედებას სჩადიოდა. თუმცა ეს ცნობილი გახდა რაიონის ხელმძღვანელობისათვის, გელაშვილი საკუთარი სურვილით გაათავისუფლეს თანამდებობიდან ისე, რომ არ განუხილავთ შესაბამისად მისი საქმე, შეფასება არ მიუციათ მისი ბადაცდომისათვის. თუმცა, ერთი წლის შემდეგ იგი მოხვდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სისტემაში, რომლის პრეზიდიუმი აგრეთვე კიროვის რაიონში მდებარეობს.

კრიტიკას ვერ უძღებს პირველად პარტორგანიზაციათა მდივნების შერჩევის სისტემა. პარტიის რაიკომის მიერ დაუსაბუთებლად რეკომენდებული ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც კი არის მიცემული. ერთეული როდია ისეთი ფაქტებიც, როცა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, რომლებიც თავს ვერ ართმევდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე გადაჰყავდათ. მაგალითად, პარტიის რაიკომი გულმოდგინედ აწინაურებდა სამეურნეო ხელმძღვანელად მ. გოძიაშვილს, რომელმაც მუშაობა ჩაშალა, როცა ქარხანა „ელექტროშედუღების“ პარტორგანიზაციის მდივანი იყო. მისი კანდიდატურა სავსებით დასაბუთებულად ითხზის უარყვეს სხვადასხვა სამინისტროებმა და უწყებებმა; სერიოზული საწინააღმდეგო მოსაზრებანი ჰქონდათ აგრეთვე რაიკომის განყოფილებებს. მაგრამ, იგი მაინც დანიშნეს საპნის ქარხნის დირექტორად, სადაც შემდეგ მოხდა დიდი. დატაცება, და დირექტორი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ცუდად უწევენ კონტროლს რაიაღმასკომის საქმიანობასაც კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებში. მაგალითად, 1979 წლის თებერვალში რაიაღმასკომის იურისკონსულტად პროტექციით მიიღეს ლ. გოგელია, რომელსაც არც უმაღლესი განათლება ჰქონდა და არც მუშაობის შესაბამისი გამოცდილება. ერთი წლის შემდეგ იგი დადაიყვანეს საბინაო ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების გამგედ, შემდეგ „კრწანისის“ მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარედ, მოგვიანებით კი რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

ამგვარი დაინტერესება და ნაჩქარეობა შეინიშნება აგრეთვე თ. აბაიაძის დაწინაურების დროსაც. იგი გადმოიყვანეს 1979 წელს ხაშურის რაიონიდან წინდის საწარმოო გაერთიანების პროფკომის თავმჯდომარედ. ორი წლის შემდეგ კი, როცა პარტიის რაიკომის ბიუროს მაინც განიხილა გაერთიანებაში დატაცებისა და ბოროტმოქმედების ფაქტები და ხელმძღვანელობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასება, იგი კიროვის რაიაღმასკომის მდივნად დაწინაურეს.

1981 წლის თებერვალში რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად მიიღეს ზ. ჩოთირიძე, უპარტიო, სპეციალობით გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელიც გლდანის რაიონში სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ინჟინრად მუშაობდა. მომდევნო წლის დეკემბერში იგი-სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს და მაშინვე დანიშნეს რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ გადაიყვანეს საბინაო ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების გამგედ.

არაგულწრფელობა გამოიჩინა, პარტიული ბილეთის დაკარგვის ფაქტი დამალა რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ — ტერტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსმა ი. სამხარაძემ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე მისი დამტკიცების დროს. ეს იცოდა პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობამ, მაგრამ აღნიშნული ფაქტი მიჩქმალეს. პარტიულ აღრიცხვაზე სამხარაძე დადგა მხოლოდ 3,5 თვის შემდეგ.

ასეთი საკადრო პოლიტიკის შედეგია სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები რაიაღმასკომის საქმიანობაში, რომელიც მეტად ნელა გადადგმნის მუშაობას. იგი ვერ უზრუნველყოფს საბჭოებზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, ქმედითს კონტროლს აპარატისა და საქვეუწყებო სამსახურების მუშაობისადმი. აქ პრაქტიკად იქცა უხეში დარღვევები საბინაო კანონმდებლობის დაცვაში, არ წარმოებს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ რაიონის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

უხეში გადახრები დაუშვა პარტიის რაიკომმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღების დროს. პარტიის წევრობის კანდიდატებად პროტექციით იღებდნენ საეჭვო რეპუტაციის პირებს, ისეთებსაც კი, რომლებსაც ნასამართლობა ჰქონდათ. ამ დროს აშკარად ამახინჯებდნენ შემსვლელთა სოციალურ მდგომარეობას, ანკეტურ და სხვა მონაცემებს, ირღვეოდა სკკპ წესდების მოთხოვნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ აღნიშნა, რომ იზრდება საჩივრები რაონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობის, ხელმძღვანელ მუშაკთა არასწორი საქციელის გამო. მოქალაქეთა წერილობითსა და პირად მიმართვებზე რეაგირებისათვის პარტიის რაიკომის საქმიანობა უსისტემოდ მიმდინარეობს, არ სწავლობენ საჩივრების წარმომშობ მიზეზებს, მათში დასმულ საკითხებს კი ზოგჯერ ტენდენციურად უდგებიან. უფრო მეტიც, ხშირად რაიონის ხელმძღვანელები განზრახ ჩქმალავდნენ მეტად დამაფიქრებელ ფაქტებს ცალკეულ ორგანიზაციებში ბოროტმოქმედების შესახებ. მაგალითად, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა, რომელმაც იცოდა, რომ უხეში დარღვევები ხდებოდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, რასაც მისი დირექტორი თ. ბადურაშვილი სჩადიოდა, არათუ მიიღო შესაბამისი ზომები, არამედ არც კი აცნობა ისინი ზემდგომ ორგანოებს.

მეორე მაგალითი. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე პარტიის რაიკომში შევიდა ბევრი წერილი ფაბრიკა „ამირანის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ. ამაზე არაერთხელ იყო ლაპარაკი აგრეთვე პლენუმებსა და რაიონის პარტაქტივის კრებებზე, მაგრამ პარტიის რაიკომს ჯეროვნად არ მოუხდენია რეაგირება ამ ფაქტებზე. განვლილი სამი წლის მანძილზე არც პარტიის რაიკომს, არც რაიონის მაკონტროლებელ ორგანოებს არ შეუსწავლიათ ნამდვილი საქმის ვითარება ამ საწარმოში. ამის შედეგად აქ გამოვლინდა უხეში დარღვევები.

არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს პარტიის რაიკომი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნას პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მიღწეული არ არის მთავარი — სიმძიმის ცენტრის გადატანა ძირეულ რგოლებში, მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის გადიდება, შესრულების კონტროლის გაძლიერება. რაიკომის პლენუმებზე, პარტიულ კრებებზე ჯერ კიდევ არ შექმნილა აზრთა საქმიანი, გულახდილი გაზიარების ვითარება, კომუნისტთა ბევრი გამოსვლა არ არის თვითკრიტიკული, არ შეიცავს პრინციპულ შეფასებებს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არც ერთხელ არ გაუკრიტიკებიათ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები და მდივანი, განყოფილებათა გამგეები. რაიონული კომიტეტი დიდი ხნის მანძილზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსაც არ გაუკრიტიკებია.

პარტიის რაიკომი არ მიმართავს პირველადს პარტორგანიზაციათა კომპლექსურ შემოწმებებს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არც ერთხელ არ შეუსწავლიათ საამქრო ორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების მუშაობა, პარტიულ დავალებათა შესრულების მდგომარეობა. დიდხანს ფაქტობრივად კონტროლგარეშე რჩებოდა უსინათლოთა საზოგადოების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტის სისტემის ორგანიზაციათა მუშაობა.

რაიონში უზრუნველყოფილი არ არის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო და სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საერო კოორდინაცია საკვანძო უბნებზე, სუსტად მაღლდება პირველადს პარტორგანიზაციათა მებრძოლობა, შრომითი კოლექტივების როლი იმაში, რომ თითოეული კომუნისტი, თითოეული მშრომელი განუხრელად იცავდეს სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებსა და პრინციპებს. ჯეროვნად არ იფასებენ რაიონში ჯანსაღი კლიმატის ჩამოყალიბების იდეოლოგიური უზრუნველყოფის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად კომუნისტთა, მშრომელთა დარაზმვის საკითხებს.

დიდი ნაკლოვანებები გამოვლინდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ორგანიზაციაში. მის დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ ასეთი ფაქტით. როცა 1985 წლს დამდეგს რაიკომის ბიურო განიხილავდა № 4 მაეიარკომბინატის მუშაობაში არსებული უხეში დარღვევების საკითხს, ცნობად მიიღეს, რომ კომბინატის დირექტორის მოადგილეს რ. ცისკარიშვილს შვიდი თვის წინათ დაედო პარტიული სასჯელი და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი თანამდებობაზე მისი ყოფნის მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე დროს, ცისკარიშვილი კიდევ რამდენიმე თვეს მუშაობდა. მუშაობას განაგრძობდნენ სხვა პირებიც, რომელთა წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. საკვირველი არ არის, რომ 1986 წელს ამ კომბინატში კვლავ გამოვლინდა ფინანსური დისციპლინის მეტად უხეში დარღვევები, „ბაკალიის სულების“ გაფორმების ფაქტები, და კვლავ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

1982 წლის თებერვალში რესპუბლიკურმა ორგანოებმა გამოავლინეს უხეში დარღვევები საეჭვო ფირმა „კულტსამეურნეო საქონლის“ მუშაობაში. რაიკომმა მიიღო გადაწყვეტილება კომპლექსურად შეესწავლა დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობა და განეხილა. ბიუროზე, რაც აცნობა პარტიის საქალაქო კომიტეტს. მაგრამ გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა. 1984 წლის აპრილში რესპუბლიკურმა ორგანოებმა კვლავ გამოავლინეს საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები, დანაშაულებრივი ქმედება და ბოროტმოქმედება ამ ფირმაში. მაგრამ წელზე მეტხანს გაჭიანურდა მისი დირექტორის ლ. ჭანტურიას პერსონალური საკითხის განხილვა. ამავე დროს პარტიის რაიკომმა მიიღო ყოველად გაუმართლებელი ლიბერალური გადაწყვეტილება.

სათანადო პრინციპულობა და შეტევითობა არ არის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში. იმის გამო, რომ ამ ორგანოებს არ ეწევა ჯეროვანი პარტიული ხელმძღვანელობა, ანდა ბევრ მათ როლი და პასუხისმგებლობა წესრიგის დამყარებასა და დისციპლინის განმტკიცებაში. ისინი არ იჩენენ სათანადო ინიციატივას, ხშირად გამოდიან გარეშე მეთვალყურეების როლში, იშვიათად სვამენ საკითხებს, პრინციპულად ან ბოლომდე არ მიჰყავთ დაწყებული საქმე.

შექმნილი ვითარება მნიშვნელოვანწილად პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ლ. ლომიძის ხელმძღვანელობის მცდარი მეთოდების, მისი უარყოფითი საქმიანი და პირადი თვისებების შედეგია. ისინი ვლინდება არათანამიმდევრული მოქმედებით, ზედმეტი თავდაჯერებულობით, სიჯიუტით, კრიტიკაზე მტკივნეული რეაგირებით, მაამებლობისა და პირფერობისადმი შემჩივიან რაიონების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები? ამ საკითხების გარკვევა დაავალა თათბირმა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს.

ენერგიის ყაირათიანი გამოყენების დიდმნიშვნელოვან რეზერვად თათბირმა მიიჩნია მაქსიმალური დატვირთვის საათებში საზმარი სიმძლავრის შემცირება შესვენებებისა და ცვლების გადანაცვლების, ცალკეული საამქროებისა და წარმოებების ღამით და კვირა დღეებში მუშაობის გადატანის, სარემონტო სამუშაოების საღამოს საათებში შესრულების გზით. უკეთ უნდა გამოვიყენოთ ტექნიკაც, რომელიც ერთეულ სიმძლავრეზე მინიმალურ სათბობსა და ენერგიას ხარჯავს.

თათბირზე განსაზღვრეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი, დასახეს მინიმალური დანახარჯებით ოდიდესი ეკონომიკური შედეგების მიღწევის გზები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. გ. გუბარიძე და ნ. რ. საჯაია.

(საქინფორმი).

საგზოთა პროფკავშირებმა, მათ შორის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირმა, ნათლად განსაზღვრა ამოცანა ფართოდ, ლენინურად აღიქვას დროის მოთხოვნა, შეიმუშაოს რეალური სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება ორგანულად შეერწყმება დარგის მუშაკთა იმედებსა და მისწრაფებებს, მიზნებსა და პრობლემებს, პარტიის და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის პერსპექტივებს.

როგორია შედეგები? რა გაკეთდა, რა დარჩა საზრუნავი გასულ საანგარიშო პერიოდში? და აი, ამ დღეებში რესპუბლიკის ჯანმრთელობის მუშაკთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის XV რესპუბლიკურ კონფერენციაზე. დელეგატებმა თან მოიტანეს მედიკოსთა კოლექტივების ვალდებულება — პატიოსნად, გულდასმით შეეჯამონ ყოველივე, ახალი შრომითი აღმავლობით, ენთუზიაზმით იღვაწონ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისთვის, პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის:

პარტია დღეს მოუწოდებს: მიაღწიონ ყველა სახეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა - მოთხოვნილებების საყოველთაო და სრულ დაკმაყოფილებას, მისი ხარისხის კარდინალურ ამაღლებას.

ეს კი ახალი ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის სწავლულ მედიკოსებს. ჯანდაცვის სამინისტროში უკვე მოქმედებს მეცნიერების სამმართველო, შემუშავებულია მეცნიერული კვლევის, ეკონომიკურ კადრებთან მუშაობის ძირითადი კომპლექსური ორგანიზაციული ღონისძიებანი. ტრადიციები მდიდარი გვაქვს. ქართველ მედიკოსთა დღევანდელი დღე დაფღალავი შრომითაა აღსავსე. კვლავ მრავალ წარმატებაზე შეიძლება საუბარი, მაგრამ ის ნაკლოვანებები, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში რომ არის, სამწუხაროდ, აფერმკრთალებს მათ.

წლების განმავლობაში დათმეს პოზიციები საქართველოსათვის ტრადიციულად პრესტიჟულ ისეთ დარგებში, როგორიც ქირურგიაა, ოფთალმოლოგია. ათასობით სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაწესებულებათა მთელი ქსელის მუხედავად, ჩვენთან ვერა და ვერ შეიქმნა ეფექტიანი სტომატოლოგიური სამსახური.

ქართულ სამედიცინო მეცნიერებას თითქმის ყველა დარგის საკმაოდ კვალიფიციური წარმომადგენლები ჰყავს, მაგრამ რესპუბლიკის გარეთ რომ მიისწრაფის, ასეთ პაციენტთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. ზნირად ისინი ყოველგვარი მიმართვის გარეშე მიდიან და სხვაგან ეძებენ მკურნალს. საოცარი ფაქტია: 1985 წლის იანვარში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მისაღებში საქართველოდან რეგისტრირებულია 595 ავადმყოფი. შარშან რესპუბლიკის გარეთ სამკურნალოდ გასულ ავადმყოფთა რიცხვმა 10 ათასს გადაჯარბა.

ცხადია, ვერანაირი რჩევითა და აკრძალვით ვერ შევაჩერებთ მათ. მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი გზა არსებობს — ჩვენი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის ავტორიტეტის შექმნა, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, სიექმეთ ეთიკის დაცვა.

სათანადოდ ვერ გაუმჯობესდა ქალთა, დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებაში, ფან-გინეკოლოგიურ სამსახურში ბოლო წლებში გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაგვარებელია: ირღვევა სამედიცინო ეთიკის და დეონტოლოგიის მოთხოვნები, კვლავ არის უსულგულობის, დაბალი კვალიფიკაციის, დაგვიანებული სამედიცინო დახმარების ფაქტები. ვერ დამყარდა წესრიგი სამშობიარო სახლებში. არ იცვლება უარყოფითი - საზოგადოებრივი აზრი აქ სამედიცინო დახმარების მდგომარეობაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „რესპუბლიკაში მეან-გინეკოლოგიური და პედიატრიული სამსახურის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ძირეულ გარდაქმნას თავალისწინებს. სამწუხაროდ, პედიატრიულ და მეან-გინეკოლოგიურ სამსახურში ეს გარდაქმნა ჯერ არ იგრძნობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება.

დიდი დარღვევებია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურში, ნაკლოვანებებია მოსახლეობის წამლით დახმარებაშიც. სტაციონარებში ჯერ კიდევ თვითონ ავადმყოფის პატრონებს შეაქვთ მედიკამენტები.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა იმპორტული და სამამულო სამედიცინო ტექნიკის გამოყენებაში. სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მომზადებული მილიონობით მანეთის ეკონომიური მნიშვნელოვანი ნაწილი ეფექტიანად ან დაუტვირთავად სათანადო ხელშეკრულება არ არის დაფიქსირებული „სამედეტექნიკის“ სამმართველოსთან. [illegible] ბოლო [illegible] ინსტიტუტის მომსაზრებელ [illegible] ინსტიტუტ [illegible] ინსტიტუტ [illegible] ინსტიტუტ

როცა დაყოვნება უკანდახევას ნიშნავს

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხებთან ერთად წინა პლანზე აყენებს სპეციალისტების პროფესიული და მარქსისტულ-ლენინური მომზადების ძირეულ გაუმჯობესებას. სწორედ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინების შედეგია ის, რომ ჩვენს ინსტიტუტში ხორციელდება ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლა, თეორიული მომზადების ფუნდამენტური გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაცია და კომპიუტერიზაცია, კათედრებისა და ლაბორატორიების ხელახალი ტექნიკური აღჭურვა.

ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე უკვე პირველი კურსის სტუდენტები ითვისებენ კომპიუტერულ განათლებას უმაღლესი მათემატიკის, საინჟინრო გრაფიკის, ხაზვაღლებითი გეომეტრიის, ტარარგანული და ზოგადი ქიმიისა და სხვა კათედრებზე, სადაც შექმნილია სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები. ჩამოყალიბდა მანქანათმშენებლობაში პროგრამული მართვის, სამთო საქმესა და ეკოლოგიაში, მშენებლობასა და არქიტექტურაში, ენერგეტიკასა და კავშირგაბმულობაში ავტომატური დაპროექტების სისტემების, სამედიცინო ელექტრონული აპარატურის ახალი კათედრები.

განათლების, მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ინტეგრაცია სპეციალისტების მომზადების ხარისხობრივი გაუმჯობესების ძირითადი ბერკეტია, ამიტომაც არის, რომ ინსტიტუტმა რესპუბლიკის მსხვილ მოწინავე სამრეწველო საწარმოებში შექმნა სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, საბაზო კათედრები და კათედრების ფილიალები, აგრეთვე სამეცნიერო-საწარმოო უბნები, თვით სასწავლებელში გაიხსნა სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრები ელექტრონულ მიკროსკოპიაში, ემისიურ-სპექტრულ ანალიზში, სპეციმეტალურგიაში, ლითონების კოროზიაში. სულ ახლახან სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესაბამისად ინსტიტუტში შეიქმნა მიკროელექტრონიკისა და მიკროელექტრული ტექნოლოგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი.

ვაყალიბებთ ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის ცენტრს, ამუშავდა საცდელ-საწარმოო ქარხანა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა დაგვეწყო სპეციალისტების მომზადება მანქანათმშენებლობის ავტომატიზაციისა და კომპლექსურ მექანიზაციაში, რობოტებული წარმოების ტექნოლოგიაში, რადიოაპარატურის დაპროექტებასა და კონსტრუირებაში, ელექტრონულ-გამოთვლითი აპარატურის კონსტრუირებასა და წარმოებაში, მანქანათმშენებლობის დაპროგრამებაში და სხვა.

განახლების პროცესი, ინსტიტუტის განვითარება უმაღლესი სკოლების წინაშე პარტიის მიერ დასახული დიდი და საპატიო ამოცანების შესაბამისად კვლავაც არაერთი საკითხის დროულ მოგვარებას მოითხოვს ჩვენგან. კერძოდ, ბიოტექნოლოგიაში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტთან ყალიბდება საბაზო კათედრა.

იქმნება სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „შინდისი“ დამოუკიდებელი საცდელ-საწარმოო ბაზითურთ, სამშენებლო ფაკულტეტის კათედრებისა და საქართველოს მშენებლობის სამინისტროს რკინა-ბეტონის ნაკეთობების № 3 ქარხნის ბაზაზე.

ქუთაისის ავტოქარხანასთან ყალიბდება სამეცნიერო-საწარმოო უბანი და სხვა.

ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ უმაღლესი სკოლის უპირატესობა, განვახორციელოთ ინსტიტუტის სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა კონცენტრაცია კომპლექსური და დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამუშავებაში, უზრუნველვყოთ სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ერთიანობა, ფართოდ ჩავბათ სტუდენტობა კვლევითს სამუშაოებში, ამის საფუძველზე ავამაღლოთ სპეციალისტების მომზადების ხარისხი, გავფართოოთ მეცნიერული კვლევისა და დამუშავების მასშტაბი.

საგულისხმოა, რომ მარტო შარშან წარმოებაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ხამუშაოების დანერგვის მეოხებით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 20 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა. მივიღეთ ასამდე საავტორო მოწმობა. უცხოეთის ქვეყნებმა შეიძინეს ორი ლიცენზია. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა ლიცენზიების გაყიდვის თაობაზე, მომზადებულია ორი განაცხადი აღმოჩენაზე და სხვა.

ჩვენმა სტუდენტებმა საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საკავშირო კონკურსებზე, ისევე როგორც წინა წლებში, 1986 წელსაც ბევრი მედალი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საკავშირო საბჭოს დიპლომები დაიმსახურეს.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს ელექტრონული და მიკროელექტრონული ტექნოლოგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის ჩამოყალიბება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამ ცენტრში ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის თავმოყრა ხელს შეუწყობს რადიო, ელექტროტექნიკური, ელექტრონული, ხელსაწყოთმშენებლობის, ჩარხმშენებლობისა და სხვა დარგების საწარმოთა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე ინსაბამისი სპეციალობებით ინჟინრების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

როცა დღევანდელობისა და უახლოესი მომავლის პასუხსაგებ ამოცანებზე ვფიქრობთ, განსაკუთრებით გვაღელვებს ის, რომ ჩვენს ინსტიტუტში, დიდი გარჯისა და რუდუნების მიუხედავად, კვლავაც მნიშვნელოვანია სამოსახ სტუდენტთა წილი. მათი უმრავლესობა, ცხადია, ვერც შემოქმედებითი მუშაობით მოიწონებს თავს, უფუოდ მეტი მოგვეთხოვება სამისოდ, რომ ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა უფრო გაამახვილონ ყურადღება სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე.

დიდ ეფექტს მოგვცემდა ალბათ ისიც, რომ ინსტიტუტისათვის გაღრმავებული, გახანგრძლივებული ვადით ახალგაზრდა სპეციალისტების სწავლების ნება დაერთოთ.

ასევე მეტად საჭიროდ გვესახება ისეთი პრაქტიკის დამკვიდრება, როცა მეცნიერ-პედაგოგი თანამშრომლების გადარჩევა საკონკურსო სისტემით განხორციელდება.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, სამეცნიერო კვლევაძიების, მასობრივი სპორტის განითარებისთვის აუცილებელია საცხოვრებელი ადგილებით დაკმაყოფილოთ სტუდენტები და ასპირანტები, რისთვისაც საჭიროა აშენდეს ხუთასადგილიანი 2-3 კორპუსი იმ ტერიტორიაზე, რომელიც ახლოს იქნება სასწავლო კორპუსებთან და ინსტიტუტის სპორტულ ბაზასთან.

ცხოვრება ჩვენ წინაშე სულ უფრო რთულ ამოცანებს წამოჭრის, ამიტომაც მეტი ძიება და გამბედაობა მოგვეთხოვება, როცა მათი გადაწყვეტის კონკრეტულ სამომავლო გზებს ვსახავთ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნების ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ანალოგიურად მსხვილ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლს შეიწყოთ ტექნიკური უნივერსიტეტების სტატუსი სწავლებისა და სამეცნიერო სამუშაოების წარმართვაში მთელი თავისი პრივილეგიებით. აქ იგულისხმება ინსტიტუტის ფაკულტეტებისადმი სრული ავტონომიის უფლებაც და სხვა. ჩვენი აზრით, ტექნიკური უნივერსიტეტების შექმნას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი კრიტერიუმები:

— სამეცნიერო სკოლები და მიმართულებები ფუნდამენტური და ტექნიკური მეცნიერების სფეროში;

— მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრები;

— სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპრობლემო და დარგობრივი ლაბორატორიების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ექსპერიმენტული საწარმოო ბაზები და პოლიგონები;

— სასწავლო ლაბორატორიების ბაზისა და სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფების თანამედროვე მოწყობილობებით, გამოთვლითი ტექნიკის აპარატურით აღჭურვის უმაღლესი დონე;

— სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების უმაღლესი დონე.

გარდაქმნის პროცესი, რომელიც სულ უფრო მძლავრად მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს, ჩვენგან, უმაღლესი სკოლის მუშაკებისაგან, დაუღალავ ძიებას და გაბედულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს, დაყოვნება უკანდახევას ნიშნავს მაშინ, როცა აუცილებელია გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

ამ დღეებში, როცა ინსტიტუტის ფაკულტეტების, კათედრების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების საქმიანობას გაეცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯ. პატიაშვილი, მან განსაკუთრებით გაამახვილა ჩვენი ყურადღება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის, ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლების, მათი იდეური წრთობის საკითხებზე, მთელ კოლექტივში საზოგადოებრივი წესრიგის, საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაზე. დაისახა ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გზები. ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებით საგანგებოდ გაესვა ხაზი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის მნიშვნელობას.

ჩვენ წინაშე მდგომი რთული, მაგრამ უაღრესად საპატიო ამოცანები ახალი ენერგიით აღავსებს ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივის ყოველ წევრს. მოვალენი ვართ, ყოველდღიური შრომით, მონდომებული გარჯით მხარი ავუბათ დღევანდელობის რთულ მოთხოვნებს. სხვა არჩევანი არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს.

თ. ლოლაძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი.

... რევოლუციურ-სამეცნიერო საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური

[illegible] ... ოქტომბრის დამატების 110 წლისთავს მიძღვნილ [illegible] ... ორიონის და მოაზროვნის სამმობლოში — წულუკიძეში გაიმართა.

სხდომა გახსნა პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. კინწურაშვილმა.

მოხსენება ალექსანდრე წულუკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პროფესორმა ვ. მერკვილაძემ. საშა წულუკიძის ნათელ ხსოვნასა და საქმისადმი ერთგულებაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ომისა და შრომის ვეტერანმა ა. ძიძავამ, წულუკიძის სახელობის ამრეზუმესახვეევ-საგრეხი ფაბრიკის მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფ. ჩხენკელმა, კომკავშირის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. აკობიძემ, წულუკიძის სახელობის მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ლოდობერიძემ.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.

ა. გ. წულუკიძის იუბილე ნამდვილი დღესასწაული გახდა რაიონში. იმავე დღეს რაიონულ ცენტრში გაიმართა მიტინგი, ოქტომბრელთა მიღება პიონერთა რიგებში, უდრეკი მარქსისტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ისტორიის გაკვეთილები. აბრეშუმსახვეევ-საგრეხ ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პრიზები. (საკინფორმი).

სსრ კავშირი — ინდოეთი

დაგვეხმარება მეგობრების გამოცდილება

„სსრ კავშირში ახლანდელი მიელინება ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მიწინასწარმეტყველეს, — სრულიად სერიოზულად გვითხრა ინდოელმა გეოფიზიკოსმა პ. კ. მიტალმა. — ჩემს მშობლიურ ქალაქ პარაკპურში ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ამბობდა: „ისწავლე რუსული ენა— გამოგადგება“. არაერთგზის შეგხვედრივარ ინდოეთში საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თხოვნით ნავთობისა და გაზის საბადოებს ეძებენ. ახლა მათი მუშაობის გამოცდილებას შევთხოვეთ საქართველოში“.

ჩრდილოეთ ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატიდან ჩამოსული მეცნიერი ერთ-ერთია იმ ექვსი სპეციალისტიდან, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ. ორი თვის განმავლობაში ისინი შეისწავლიან ელექტრონული გამომთვლელი მანქანების დამუშავების მეთოდებს. ეს გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოაწერეს 1985 წლის მაისში საბჭოთა კავშირში პრემიერ-მინისტრ რაჟივ განდის ვიზიტის დროს. შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა სპეციალისტები ეხმარებიან ინდოეთს აწარმოონ ინდოეთის სხვადასხვა რაიონში ნავთობისა და გაზის კომპლექსური დაზვერვა. მიღებულ მონაცემებს დაამუშავებენ კომპიუტერების საშუალებით. სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს „მთავარნავთობგეოფიზიკის“ სამმართველომ უკვე მიაწოდა ინდოეთს მოწყობილობა სამი რეგიონალური გამოთვლითი ცენტრისათვის. საბჭოთა პროგრამების მიხედვით საველე მონაცემების დამუშავების მეთოდიკას ინდოელი კოლეგები გაეცნობიან „საქნავთობგეოფიზიკის“ ტრესტის გამოთვლით ცენტრში.

ვესაუბრებით სტუმრებს ცენტრის სასწავლო კლასში, როშელიც აღჭურვილია დისპლეებით, უზრუნველყოფილია მრავალი დამბალარე სახელმძღვანელოთი რუსულ და ინგლისურ ენებზე. წამყვანი სპეციალისტები თარჯიმნების დახმარებით აქ კითხულობენ საზღვარგარეთელი კოლეგებისა თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსებს.

— ინდოეთში მიბეელ გორბაჩოვის ვიზიტის მნიშვნელობას ვაფასებ საკუთარი პროფესიული საქმიანობის პერსპექტივისა და ჩემი ოჯახის კეთილდღეობის თვალსაზრისით, — აღნიშნა პ. კ. მიტალმა. — ნავთობი ყოველთვის იყო ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორი. სწორედ ამ დარგში თანამშრომლობა გამოხატავს ჩემი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების ღრმა მეგობრულ გრძნობებს, რაზეც გორბაჩოვმა ილაპარაკა მიმდინარე წლის 21 ნოემბერს ინდოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე, ხოლო პროფესიული კონტაქტების გაღრმავება ემსახურება მშვიდობის გახმტკიცებას.

უკვე მრავალი წელია მიტალების ოჯახი იწერს ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზს“ და ილუსტრირებულ ბავშვთა ჟურნალს „მიშას“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მრავალ ენაზე გამოდის, მათ შორის ინგლისურადაც.

— მე სამი ქალიშვილი მყავს, — გვითხრა მიტალმა, — და მინდა, რომ პატარაობიდანვე გაიცნონ თქვენი ქვეყანა. დარწმუნებული ვარ, ეს მათ გამოადგებათ, ვეცნობით: საქართველოს კულტურასაც. განსაკუთრებით გვაინტერესებს ქართული კინო და ეროვნული ქორეოგრაფია. ჯერ კიდევ სამშობლოში ბევრი რამ გვსმენია ოჭაველი რეჟისორებისა და მოცეკვავეების ოსტატობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ენა არ ვიცით, თბილისში თავს უცხოდ არ ვგრძნობთ. ძველი ქალაქის ქუჩებმა კალკუტა მოგვაგონა,— კლიმატი ისეთივე თბილია, როგორც ჩვენში, ხოლო ეროვნული ეკრძები ყველას მოგვეწონა, ჩვენს ორ ვეგეტარიანსაც კი. და რაც მთავარია თბილისელთა ყურადღებიანობა, მათი ტემპერამენტი ძალიან მოგვწონს.

ასეა ყოველთვის: მეგობრული თვალი ეძებს არა განსხვავებას, არამედ მსგავსებას, იგი ხომ როგორც ცალკეული ხპეციალისტები, ისე მთელი ხალხების თანამშრომლობის საფუძველია.

ი. სუდაკოვა,
საქინფორმის კორ.

რაბინდრანათ თაგორის ქვეყნისადმი სიყვარულით

ინდური ხალხური ეპოსის თემებზე ქმნის ოპერა-ბალეტს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ანდრია ბალანჩივაძე.

— ამ ნაწარმოების შექმნა ჩავიფიქრე თორმეტი წლის წინათ ამ მეგობარ ქვეყანაში ყოფნის შემდეგ, — თქვა კომპოზიტორმა. — ალბაფრთოვანა უმაღლესმა ხელმძღვანელობამ, ოპერა-კომპოზიტორმა, ეროვნული ენა-ფოლკლორული მელოდიები.

გაისად ინდოეთში გაიმართება საბჭოთა ხელოვნების დღეები. დიდი ხელოვნის ნაწარმოებ; რომელსაც იგი უძღვნის საბჭოთა და ინდოელ ხალხს, შევა საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალეროვნული ხელოვნების დათვალიერების პროგრამაში.

ქართული თანამედროვე მუსიკის მიღწევად სამართლიანად მიიჩნევენ სპეციალისტები „ინდურ სიუიტას“, რომელიც საქართველოს სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ შექმნა დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის. „სიუიტა“ შევიდა მოსკოვის, მოკავშირე რესპუბლიკების საშემსრულებლო კოლექტივების რეპერტუარში, გამოიცა, მისი პარტიტურა. იგი წარმატებით შესრულდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებშიც — ბერლინსა და შვერინში დირიჟორ გ. შონნგერის ხელმძღვანელობით. ჩანაწერი შესრულდა აგრეთვე ინდოეთის ქალაქებში.

„ინდური სიუიტისა“ და ინდური ხალხური მუსიკის კვლევის დარგში სამეცნიერო შრომებისათვის შალვა მშველიძეს ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემია მიენიჭა.

ქართული ხელოვნების ჭეშმარიტად ინტერნაციონალური არსის მაგალითად იქცა კომპოზიტორის რომანსები „ამრიტა“, რომელიც შექმნილია ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიის ლაურეატის, პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ლექსებზე. იგი მიეძღვნა პოეტ ჭელს ამრიტა პრიტამს.

დიდი იხდოელი ჰუმანისტის რაბინდრანათ თაგორის ლექსები, რომლებშიც წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის თემა, მისი სულიერი სამყარო, საფუძვლად დაედო კომპოზიტორ ალექსანდრე რაქვიაშვილის საგუნდო ნაწარმოებებს.

ის, რომ ქართველმა მუსიკოსებმა მიმართეს ინდურ თემას, ორი ქვეყნის ხელოვნების მოღვაწეთა კულტურული თანამეგობრობის მატიანის ერთ-ერთი მკაფიო ფურცელია.

(საკინფორმი).

ინფორმაციები

ფაქტები • მოვლენები

გამოხმაურება

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის

დელი. მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ ინდოეთის პრესის ყურადღების ცენტრშია. სათაურით „სსრ კავშირი ინდოეთთან ურთიერთობას უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს“ „ინდიან ექსპრესი“ აღნიშნავს: „საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ინდოეთისადმი საბჭოთა ადამიანებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. მათ ინდოელი ხალხი მიაჩნიათ თავიანთ ძველ მეგობრად, საიმედო პარტნიორად. კმაყოფილი არიან იმით, თუ როგორ წარმოებს ორმხრივი ურთიერთობა. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთთან ურთიერთობას სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული ადგილი უკავია“.

„საბჭოთა ხელმძღვანელობამ ძალზე გულთბილად მოიხსენია ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა და უწოდა მას მძლავრი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში, — ხაზს უსვამს „სტეიტსმენი“. — ორმხრივი ურთიერთობის სამართლიანი საფუძველია სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. მ. ს. გორბაჩოვის აზრით, ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა საცილდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ფარგლებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს გაზეთი „პეტრიოტი“, აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების საშინი გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელებას. მან ხაზი გაუსვა, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა ძირს უთხრის სტრატეგიულ სიტუაციას, არ განმტკიცებს ნდობას ხალხთა შორის, პირიქით, კიდევ უფრო შეარყევს მას. სსრ კავშირი, აღნიშნავს გაზეთი, დიდად აფასებს ინდოეთის საგარეო-პოლიტიკურ პოზიციას და მხარს უჭერს „დელის ექვსეულის“ მოწოდებას ითანამშრომლონ მწვავე საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზების გამოსანახავად.

ვაშინგტონი. „საბჭოთა ხელმძღვანელმა, იტყობინება **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო,** ბრალად დასდო ვაშინგტონს, რომ ცდილობს გაუგებრობა და გაურკვევლობა გამოიწვიოს რეიკიავიკის შედეგების გამო არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა მოიფიქრა მოქმედება, რომელსაც იგი მიმართავს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განხორციელებას“. „საბჭოთა ხელმძღვანელმა რეიგანს ადმინისტრაცია გაოგონილა, — წერს „**ვაშინგტონ პოსტი**“, — რომ მისი „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელებას საერთოდ შეეძლება მოაყვეს შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ მოლაპარაკების შეწყვეტა. მან სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შემუშავება დაუკავშირა შეიარაღებისადმი კონტროლის მომავალს და განაცხადა, რომ ეს კოსმოსური პროგრამა ძირს უთხრის ხალხების შორის ნდობას, რომელიც ბირთვული არსენალების შემცირების აუცილებელი პირობაა.

ლონდონი. **რეიტერის სააგენტო** იტყობინება: სსრ კავშირი დარწმუნებულია, რომ რეიკიავიკში საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრამ ორი სახელმწიფო გაიყვანა საკითხთა გაგების ახალ მოკენებზე და დაამტკიცა, რომ მორიგებანი, თუნდაც ძნელ საკითხებზე, შესაძლებელია. მ. ს. გორბაჩოვმა ვაშინგტონს ბრალად დასდო განიარაღების შესახებ იმ შეთანხმებების დარღვევა, რომელიც უკვე თითქმის მიღწეული იყო მოლაპარაკების დროს. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირი მხარს უჭერს ავღანეთის გამო შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკურ მოწესრიგებას. ასეთი მოწესრიგება შესაძლებელია, თუკი, რა თქმა უნდა, მას მხარს დაუჭერენ პაკისტანი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ინდოეთში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს, აღნიშნავს „**ტაიმსი**“, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება სსრ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობისათვის.

პარიზი. მოსკოვში გამოსვლისას საბჭოთა ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრამ ისლანდიის დედაქალაქში შესაძლებელი გახადა აღდგენილიყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეწყვეტილი პოლიტიკური დიალოგი, წერს „**ლუმანიტე**“. ამავე დროს მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ზოგიერთი პოლიტიკოსი დაფრთხო სტრატეგიული რაკეტებისა და საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მორიგებათა ძიების გზაზე სწრაფმა წინსვლამ.

რომი. სათაურით „მ. ს. გორბაჩოვი კვლავ მოლაპარაკებას გვთავაზობს“ გაზეთი „**კორიერე დელა სერა**“ წერს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თეთრ სახლს წინადადებით მიმართა უფრო ღრმად ჩასწვდეს მიმდინარე ამბებს, სერიოზულად დაუფიქრდეს იმ დადებით შედეგებს რეიკიავიკში რომ მიაღწიეს, რათა ახალი იმპულსი მიანიჭონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის დიალოგს“.

საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, წერს „**მესაჯერო**“, რომ მოსკოვი კვლავ ერთგულია პოზიციებისა, რომლებიც რეიკიავიკში განისაზღვრა. მან ვაშინგტონს წინადადება მისცა ხელი აიღოს „ვარსკვლავეთის ომების“ გეგმებზე.

ანსას სააგენტო, რომელიც აღნიშნავს, რომ მ. ს. გორბაჩოვი ინტერვიუში შინაპოლიტიკურ საკითხებსაც შეეხო, ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის მთავარი იდეა საბჭოთა საზოგადოების ამოძრავება იმ მიზნით, რომ უფრო სწრაფად მიაღწიონ ახალ პორიზონტებს მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის, დემოკრატიზაციის მეშვეობით.

ულან-ბატორი. მ. ს. გორბაჩოვმა დაადასტურა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობა და კონსტრუქციულობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო თვალსაზრისით ვაშინგტონის მიერ შექმნილი სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა ნიშნავს გამალებული შეიარაღების ახალ ეტაპს, სრულ კი არა მარტო არ შეანელებს, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას, ძირს გამოუთხრის სტრატეგიულ სიტუაციას, იტყობინება **მონღოლეთის რადიო.** საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირი მტკიცედ არის იმ ხალხების მხარეზე, რომლებიც ეძებენ თავიანთი ეროვნული პრობლემების გადაჭრის გზებს, და ვერავინ ვერ წაართმევს მათ ამ უფლებას.

● აშშ

სკანდალი მწვავდება

ნიუ-იორკი, „თეთრი სახლი სკანდალის ალშია გახვეული“ — ასე ახასიათებს ტელეკომპანია ენ-ბი-სი ვითარებას, რომელიც ადმინისტრაციაში შეიქმნა ირანისათვის „იარაღის ფარული მიწოდების მხილების შედეგად.

„თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ირანის ოპერაცია სრულდებოდა მხოლოდ თეთრი სახლისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს ძალებით. მაგრამ ახლა სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ცენტრალურ როლს ასრულებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო“.

როგორც ჟურნალ „ნიუსუიკისათვის“ გახდა ცნობილი, ამ ოპერაციაში, რომლის კოდური სახელწოდება იყო „აღდგენის პროექტი“, ამერიკის შეერთებული შტატების საჯაშუშო-ძირგამომთხრელ უწყებას „დაკისრებული ჰქონდა ამოცანა გვერდი აევლო ირანისათვის იარაღის ექსპორტის იურიდიული აკრძალვისათვის“. ოპერაციის კოორდინირება თავდაცვის მინისტრის უოინბერგერის მითითებით იკისრა მისმა ერთ-ერთმა თანაშემწემ რიჩარდ არმიტაჯმა, ხოლო უშუალო შემსრულებლის როლი — ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელმა, საზღვარ ქვეითი ჯარის პოდპოლკოვნიკმა ოლივერ ნორტმა.

ალიკვეთოს დანაშაულებრივი ჩარევა

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა კოსტა-რიკის ხელისუფლებს იმის გამო, რომ 24 ნოემბერს კოსტა-რიკის ტერიტორიაზე გაიმართა იმ კონტრრევოლუციური დაქირავებული ორგანიზაციების „ასამბლეა“, რომლებიც თავის თავს „ნიკარაგუის ოპოზიციურ კავშირს“ უწოდებენ და ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში არიან.

კოსტარიკამ, ნათქვამია ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტაში, კარგად იცის, რომ კონტრასებს განზრახული აქვთ შექმნან ეგრეთ წოდებული „დროებითი მთავრობა“, განაცხადეს შეიარაღებულ წინააღმდეგ ქვეყნის კანონიერად არჩეული მთავრობის დამხობის მიზნით.

კოსტა-რიკის მთავრობის გადაწყვეტილება ნება დაერთო კონტრრევოლუციური ორგანიზაციებისათვის მოეწყოთ „ასამბლეა“, ნიკარაგუის საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევა და კოსტა-რიკის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევაა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ კოსტარიკელი ხელისუფლები სულ უფრო მეტად ეხმრობიან რეიგანის ადმინისტრაციის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას, რომელიც ნიკარაგუის წინააღმდეგ არის მიმართული.

ნიკარაგუა კვლავ მტკიცედ მოითხოვს, რომ კოსტა-რიკის მთავრობამ უარი თქვას ნიკარაგუის წინააღმდეგ უკანონო ომის მხარდაჭერაზე და შეწყვიტოს მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, რაც აძნელებს მშვიდობის მიღწევას ცენტრალურ ამერიკაში, აღნიშნულია ნოტაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ბონი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი ელექტროტექნიკური კონცერნის „სიმენსის“ ორი ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ განაცხადა, რომ არ სურთ ავბედით „ვარსკვლავეთის ომების“ ამერიკული პროგრამით გათვალისწინებულ კვლევით სამუშაოებში მონაწილეობა.

◆ **ჰავანა.** დამთავრდა კუბის კომპარტიის პროგრამის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი განხილეს პირველადს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, შრომითი კოლექტივების კრებებზე, რესპუბლიკის მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებს შორის. დოკუმენტის პროექტის სამოლოო ვარიანტს დასამტკიცებლად გამოიტანენ კუბის კომპარტიის III ყრილობის ოფიციალურ სესიაზე.

◆ **ვენა.** აქ გამოქვეყნდა პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ოფიციალური საბოლოო შედეგები. პარლამენტის ახალ შემადგენლობაში სოციალისტურ პარტიას ექნება 80 მანდატი, სახალხო პარტიას — 77 და თავისუფლების პარტიას — 18 მანდატი.

„კომუნისტი“
საკვლევი
საქინფორმი

ახალი ამბები

● **ჯ. ნერუს** სახელობის ბავშვთა სურათების საერთაშორისო კონკურსის უმაღლესი ჯილდოები — დიდი ოქროს მედლები— მიენიჭათ მოსკოველ მოსწავლეს ტანია ბოიკოსა და ლენინგრადელ ირა ხარიმონს.

უდიდეს საერთაშორისო კონკურსს ყოველწლიურად აწყობს ინდოეთში ჟურნალი „შანკარს უიკლი“ ცნობილი მხატვრის შანკარ პილაის ინიციატივით. 1952 წლიდან მასში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 3 მილიონზე მეტი ბავშვი, რომელთა შორის იყო დაახლოებით 5 ათასი საბჭოთა ბავშვი. ამ წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის შვიდასზე მეტ ნორჩ მხატვარს მიენიჭა საბავშვო კონკურსის სხვადასხვა ჯილდო.

● **1986 წლის** 25 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1802“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა გასაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის და რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

● **24 ნოემბერს** თბილისში გაიმართა ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის ქალთა საბჭოების წარმომადგენელთა აქტივის კრება, მისმა მონაწილეებმა განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად ქალთა საზოგადოებრიობის საქმიანობის გააქტიურების საკითხები.

მოხსენება გააკეთა ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლკოვნიკმა ლ. ოსუფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ლ. გულევიჩმა.

კრებაზე გამოვიდა ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი.

● **ქვეყნის** ორას ქალაქში, მათ შორის თბილისშიც, ამოქმედდა სამრეწველო საწარმოების მიერ ჰაერის საშიში გაჭუჭყიანების თავიდან აცილების სამსახური. ამ სამსახურის განვითარების გზებზე, ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებმა, იყო სჯაბაასი თბილისში გამართულ მეცნიერთა და სპეციალისტთა სემინარზე.

● **სამი** ათასი წლის წინანდელი წარსული და ხვალინდელი დღე წარმოუდგინა საქართველოს სს რესპუბლიკაში კამპუჩიის დღეების მონაწილეებს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმმა. საბჭოთა საზოგადოების ისტორიის განყოფილებებში სტუმრები გაეცნენ მრავალი ექსპონატის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნებს.

დელეგაციის წევრები ეწვივნენ გაგრას, ბიჭვინთას, გუდაუთას, ახალ ათონს, იყვნენ განთქმულ ათონის მღვიმეში, რომლის მიწისქვეშა დარბაზებს ყოველწლიურად 600 ათასზე მეტი ექსკურსანტი ათვალიერებს.

● **ტყიბულის** ზონის სოფელ სოჩხეთში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ჯანმრთელობის კერა, სადაც მკურნალობენ სახსრების სხვადასხვა დაავადებას. დამსვენებელთა განკარგულებაშია სპინეული, დასასვენებელი, აბაზანის მისაღები ოთახები, კლუბი, სამკითხველო, სხვა დამხმარე ნაგებობანი, რომლებიც ერთდროულად 60-მდე დამსვენებელს ემსახურება.

„კომუნისტი“

ჩვენი მისამართი
და ტელეფონები

380096. თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09,
პ/მდივნის — 99-72-80,
სამდივნოსი — 99-66-10,
განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 98-22-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრეველთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

მოსკოვი — 290-68-47;
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-32.

მღვიმეები თმობენ საიდუმლოებას

მრავალჯერ თქმულა, საქართველო კარსტული მღვიმე-უფსკრულების კლასიკური ქვეყანაოო! ბოლო წლების გამოკვლევებმა სავსებით დაადასტურა ამ შეხედულების ჭეშმარიტება და უფრო რელიეფურად წარმოაჩინა რესპუბლიკაში სპელეოგამოკვლევებისა თუ სპელეოსპორტულ ჩაღწევათა დიდი პერსპექტივები.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში აღნუსხულ და ნაწილობრივ შესწავლილ მღვიმე-უფსკრულთა რიცხვმა ათას ხუთასს გადააჭარბა. მათ შორისაა ახალი ათონი, გეგანტური „თოვლიანმეეტნი“, წარმტაცი „წყალტუბო“ და მრავალი სხვა.

ბუნება ძნელად თმობს საიდუმლოებებს. მართლაც და, ვინ იფიქრებდა, წყალტუბოს ზონის სოფელ ყუმისთავის მჭიდროდ დასახლებულ და ათვისებულ ბარის სანახებში მთელი მღვიმეური სისტემა თუ აღმოჩნდებოდა?!

როგორც „კომუნისტის“ მკითხველისათვის ცნობილია, ამ აღმოჩენის პატივი ორიოდე წლის წინათ წილად ხვდა გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის საექსპედიციო რაზმს ჯუმბერ ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით. არადა, მანამდე რამდენ საექსპედიციო თუ ტურისტულ ჯგუფს მოუხლავს წყალტუბოს პლატოს სივრცეები, მოუნახულებია აქ არსებული მღვიმე-წკვარამ ე ბ ი, მათ შორის თვით წყალტუბოს მღვიმის წინა ნაწილიც, მაგრამ... ჩვენი ლაბორატორიის უკვე საქმოდ გამოცდილმა სპელეორაზმმა (ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქობულავი, ა. ჯამრიშვილი, ვ. კაპანაძე, კ. ნიჟარაძე და სხვანი) დიდხანს უტრიალა ერთ-ერთ პერსპექტიულ ნაპრალს, რამდენი ოფლი დაიღვარა მისი გაგანიერების ცდაში, რამდენი ლოდის, ქვისა და ღორღისაგან განთავისუფლდა იქაურობა, ვიღრე მღვიმეში შეაღწევდნენ! მაგრამ ადამიანს რა აღარ ძალუძს, და მღვიმემაც დათმო საიდუმლოება!

ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ასობით მღვიმეუფსკრული მინახავს, ველურიცა და „გაკულტურებულიც“, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, სტალაქტიტური აგრეგატების სიუხვითა და მრავალფეროვნებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ყაზტუბოს მღვიმემ. მისი კილომეტრიანი „საგამოფენო დარბაზები“ და დერეფნები ნაღვენთი კალციტის უნიკალური ექსპონატებითაა დამშვენებული; ძირითადსა თუ გვერდითა ტალანებში ტანსრული სტალაგმიტები და მათთან „სამმოდ“ ჭერიდან ჩამოზრდილი ნატიფად ნაძერწ სტალაქტიტთა მწკრივები გარინდულან. გოიცებთ ფორმათა მრავალფეროვნება და ფერთა სიუხვე მათი; ქათქათა და მუქთაფლისფერ სტალაქტიტებთან ერთად, კუპრივით შავი ნაღვენთებიც იტაცებს თვალს. გიხილავთ სტალაქტიტთა „თიგიულ ე ბ ი“, ბროლის ჩაღებივით რომ ამშვენებენ ტალახთა თაღებს? ფანტასტიკურია კალციტით ნაგები „ციხე-კოშკები“, აკა-იქ რომ წამომართულან; ეს ათასნაირი ფიგურებით დამშვენებული სტალაგმიტთა მძლავრი კოლონები თუ კოლონადები კი, მართლაც რომ, ზეიმურ იერს მატებენ დარბაზებს; რა დიდებული სანახავია „გაქვავებულ ჩანჩქერთა“ კასკადები, გოფრირებული „თეატრალური ფარდები“, ჩრდილოეთის ციალის მსგავად შენაოკებული კალციტის ფირფიტები... რამდენი ეგზოტიკაა მათში! რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო: აი, თუნდაც, ბუნების კიდევ ერთი საოცრება — „ორგანის კუთხე“!

ეს „ჯადოსნური გამოფენა“ ხომ ჯერხნობით ველური სახით, ყოველგვარი „კოსმეტიკის“ გარეშეა. ადვილი წარმოსადგენია, არქიტექტორთა და მხატვართა ხელშეწევნით, რაც მაღალმხატვრულ განათებასაც გულისხმობს, რა წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს იგი მხილველზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება ტურისტული მიზნებისათვის ყაზტუბოს მღვიმის კეთილმოწყობის შესახებ. ამ დადგენილებით ზუსტად განისაზღვრა ახლად მოკვლეული ძეგლის არა მარტო კომპლექსური შესწავლა, არამედ მისი კეთილმოწყობის გრაფიკი და სამუშაოთა ძირითადი შემსრულებლები. რესპუბლიკის აგრარულ-მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა აქტიურად მოჰკიდა ხელი ამ დადგენილების ხორციშესხმას.

წყალტუბოს მღვიმისა და მისი შემოგარენის კვლევის კომპლექსური მეცნიერული პროგრამა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორთან ერთად დაამუშავა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების კანდიდატმა თ. კიკნაძემ, წარმატებით სრულდება. აგერ უკვე მეორე წელია წყალტუბოს მასივზე გეოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად თვდადებით მრომობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიისა და გეოფიზიკის კათედრების, გეოლოგიისა და სამთო მექანიკის ინსტიტუტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს, ძელიორაციისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკის სხვა უწყებათა საექსპედიციო რ ა ზ მ ე ბი. მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა საქართველოს ნაწილ-ტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტორთა და ინჟინერ-მშენებელთა ჯგუფმა გამოჩენილი ხელოვნის ვახტანგ დავითაიას ხელმძღვანელობით.

საგანგებოდ გვსურს გამოვყოთ გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის სპელეოაქვანავ ტ თ ა ახალგაზრდელი რაზმის (ა. და ე. ჯამრიშვილები, ვ. კაპანაძე და სხვ.) ფრიად ნაყოფიერი საქმიანობა კ. მთიულიშვილის ხელმძღვანელობით.

სპელეოლოგთა მარშრუტ ე ბ ი საშიშროებითა და ხიფათითაა აღსავსე. წყლით სავსე, წყვდიადით მოცულ მღვიმეთა დერეფნების შესწავლა მკვლევართაგან ჩინებულ ფიზიკურ გაწვრთნილობას, ენთუზიაზმს, სიმამაცესა და გამჭრიახობას მოითხოვს. ყოველ ნაბიჯზე განსაცდელია, არ იცი, სად მიეცურავ, რა გელოდება წინ... ძნელია, ძალზე ძნელი, ასეთი თუნდაც მეტრიც რომ გამოსტაცო დედაბუნებას! წყალტუბოს მიდამოებში კი ბევრი წყლით სავსე დერეფანი პირველად (!) დაამორჩილეს.

„წყალტუბო“ რთული, მრავალკარიანი და მრავალსართულიანი სისტემა აღმოჩნდა. აგეგმილი მიწისქვეშა ტალანების ჯამურმა სიგრძემ უკვე გადააჭარბა 9 კილომეტრს. მაგრამ ეს ზღვარი როდია, მასივი კვლავაც გაგვაბარებს ახალ-ახალი სპელეოლმოჩენებით.

წლევანდელ სპელეოსეზონში (გეოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის ერთობლივი მონაწილეობით) გრძელდებოდა ბზიფისა და არაბიკის კირქვული მასივების შესწავლა. აქ ფრიად საინტერესო სამუშაოებს აწარმოებენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სპელეოსაექსპედიციო რაზმები. აქვანავტებმა უკვე 1220 მეტრ სიღრმემდე ჩაღწიეს. მღვიმე გრძელდება. საგულისხმოა, რომ ჩვენი ქვეყნის სამივე ათასმეტრიანი კარსტული უფსკრული საქართველოს ტერიტორიაზეა და თითოეული მსოფლიო სპელეოოგთა ულრადღების ცენტრშია. არანაკლებ აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც: არაბიკის მასივზე ექსპერიმენტულად დადასტურდა დედამიწის ზურგზე ულრმესი კარსტული ჰიდროგეოლოგიური სისტემის არსებობა, რაც 2200 მეტრს აღემატება!

უკვე მერამდენე წელია, რაც ჩვენი საექსპედიციო რაზმი, ბზიფის მასივის წიაღში შობილი მჭიშთას გამოსასვლელების რაიონში ფუსფუსებს. არადა, იგი ყველაზე პერსპექტიული სპელეოობიექტია არათუ ჩვენს ქვეყანაში, მთელ ევროპის კონტინენტზეც. როგორც ბოლო წლების გამოკვლევებმა ცხადყო, მჭიშთას მიწისქვეშეთში დედამიწის ერთ-ერთი გიგანტური მღვიმეური სისტემა იმალება. ჩვენ დიდი სპელეოლმოჩენების მოჯანზე ვდგავართ, თუმცა ბუნება „შეუპოვრად იცავს“ თავის საუნჯეს. უკვე ისტორიის კუთვნილებაა მჭიშთას სიფონებთან შერკინების რამდენიმე გაბედული ცდა. წლევანდელ იანვარ-თებერვალში კრასნოიარსკელი პ. მინენკოვის და როსტოველი გ. გრიცენინის წყვილმა ჩაყვინთა ძირითად სიფონში. სპელეოაქვანავტები უცბად აღმოჩნდნენ წყლით სავსე „ტომარაში“, რ ო მ ლ ი ს ფსკერი თანდათან დაბლა ეშვებოდა, შესასვლელიდან 90 მეტრის მოშორებით სიღრმეზომა 46 მეტრი უჩვენა! აქვანავტები, მოკლე სიფონი რომ გადალახეს, საკმაოდ ვრცელ ტალანში მოხვდნენ, სიიდანაც ახალი სიფოსური დერეფნები იწყებოდა. ამასობაში მათი მიწისქვეშ ყოფნის საკონტროლო დროც ამოიწურა და... სიფონთა გავლის მორიგი ცდაც შედარებით წარუმატებლად დამთავრდა. მჭიშთამ კვლავ არ დამძო საიდუმლოებამ!

უცნობ მიწისქვეშა სასახლეებში შესალწევად ჩვენ სხვა სტრატეგია ავირჩიეთ: მჭიშთას გამოსასვლელთა თავზე, ვრცელი ამფითეატრისებური ჩადაბლების განსხვავებულ დონეებზე, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჭები, შახტები და „მბერავი“ ხვრელები იხსნება; ზოგი მათგანი წყლისგან მიტოვებული ძველი სიფონური სადინარია, დროთა განმავლობაში ქვა-ღორღით რომ ამოქოლილა ან კალციტის სქელი ქერქით შენიღბულა. ეჭვს არ იწვევს მათი უმრავლესობის კავშირი მიწისქვეშა სასახლეებთან. შეიძლება თუ არა რომელიმე მათგანის გავლით მჭიშთას სისტემაში მოხვედრა? ეს სავსებით დასაშვებად მიგვიჩნია. და ჩვენი საექსპედიციო რაზმიც (კ. ნიჟარიშვილი, ვ. კაპანაძე, თ. ქობულაშვილი, ა. ჯამრიშვილი და სხვ.) მოთმინებით იკვლევს ყოველ ასეთ ჭასა თუ შახტს, ზოგჯერ, ერთი შეხედვით, უიმედოსაც კი. ბევრი მათგანი იწმინდება ქვა-ღორღისაგან. არადა, მჭიშთას გიგანტური დარბაზები სულ ახლოსაა! ამ შესანიშნავი ახალგაზრდების ენთუზიაზმი და თავდადება გვაფიქრებინებს, რომ დღეს თუ ხვალ მჭიშთაც დათმობს საიდუმლოებას!

ზურაბ ტინტილოზოვი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის გამგე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

● ●

ყუალტუბოს მღვიმის „კოსმონავტთა დარბაზი“.

მ. თათარიშვილის ფოტო.

მეშვიდე ტურიანი ინტენსიური

ყაზბეგი. (ს. ფ.). საბჭოთა ელეოლოგებმა დაყარეს ბოლო ამ ზაფხულ ქვანახშირის შახტებში ინტენსიურად მუშაობენ. ეს ... ...